საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2714 2019 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის №815 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის №815 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. განკარგულების პირველი პუნქტის:

ა) პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული

პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიმდინარე წლის 25 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 11 799 900 (თერთმეტი მილიონ შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასი) ლარი, მათ შორის:“;

ბ) 1.5; 1.12 და 1.16 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.5. გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 344 570 (ერთი მილიონ სამას ორმოცდაოთხი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარისა, დანართ №5-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.12. ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 827 258 (რვაას ოცდაშვიდი ათას ორას ორმოცდათვრამეტი) ლარისა, დანართ №12-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

„1.16. ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 224 813 (ერთი მილიონ ორას ოცდაოთხი ათას რვაას ცამეტი) ლარისა, დანართ №16-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“;

გ) 1.17 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.18 და 1.19 პუნქტები:

„1.18. ქარელის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 530 416 (ხუთას ოცდაათი ათას ოთხას თექვსმეტი) ლარისა, დანართ №18-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

1.19. კასპის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 742 539 (შვიდას ორმოცდაორი ათას ხუთას ოცდაცხრამეტი) ლარისა, დანართ №19-ით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;“.

2. განკარგულების №5; №12 და №16 დანართები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

3. განკარგულებას დაემატოს თანდართული შინაარსის №18 და №19 დანართები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**

დანართი N5

გურჯაანის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელ არაშენდის და სოფელ დარჩეთის დამაკავშირებელი შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	603 394.0	573 224.0
2	სოფელ არაშენდაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	594 572.0	564 843.0
3	სოფელ არაშენდის გზაჯვარედინის უბნის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	248 173.0	206 503.0
სულ ჯამი		**1 446 139.0**	**1 344 570.0**

დანართი N12

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ქ.ამბროლაურში ქუჩების რეაბილიტაცია	321 162.0	305 104.0
2	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლების: ჭელიაღელე-თლუღი-ხოტევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	152 928.0	145 282.0
3	ქ. ამბროლაურში გურგენიძის ქუჩის მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები	396 707.0	376 872.0
სულ ჯამი		**870 797.0**	**827 258.0**

დანართი N16

ონის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	ლაჩთა - შეუბნის გზის რეაბილიტაცია (მოწონება არ აქვთ)	790 009.0	750 288.0
2	სოფელ ღარში შიდასასოფლო გზის ასფალტირება სანიაღვრე არხების გათვალისწინებით. (მეოტე ეტაპი)	499 500.0	474 525.0
სულ ჯამი		**1 289 509.0**	**1 224 813.0**

დანართი N18

ქარელის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	სოფელი აბისი-საციხური-აბანოს გზის რეაბილტაციის სამუშაოები	589 913.0	530 416.0
სულ ჯამი		**589 913.0**	**530 416.0**

დანართი N19

კასპის მუნიციპალიტეტი

N	დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები	პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა
1	კასპის მუნიციპალიტეტის სოფლების ვაკე - პანტიანის მისასვლელი/ ქვემო ჭალასთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - მოასფალტების I ეტაპი	791 620.0	742 539.0
სულ ჯამი		**791 620.0**	**742 539.0**